CATHOLIC PATRIARCH OF ALL GEORGIA BECAUSE OF THE DISTINCTION OF LEONIDE OKROPIRIDZE

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის გამორჩევის გამო

GVANTSA BURDULI
Doctor of History,
ST. ANDREW THE FIRST-CALLED GEORGIAN UNIVERSITY
OF THE PATRIARCHATE OF GEORGIA
Georgia, Tbilisi, 53a Chavchavadze Ave.
ORCID:0000-0001-8657-3683
g.burduli@sangu.edu.ge
+995555999685

Abstract. The Georgian Apostolic Orthodox Church has undergone numerous challenging periods, but perhaps the most difficult time in this regard began after the abolition of the autocephaly of the Georgian Church (the Metropolitanship of Mtskheta was abolished in 1811, and the Patriarchates of Likht-Imereti and Abkhazia were dissolved in 1814). The events that followed are considered the most significant in the history of the Church. The end of this difficult period is marked by the restoration of the Georgian Church's autocephaly on March 25, 1917 (Old Style: March 12) in the Svetitskhoveli Cathedral. From this date onward, the governance of the Exarchate was ended, and a new phase in church life began, which involved the convening of an ecclesiastical assembly (for organizing church affairs) and the eventual election of a Catholicos-Patriarch. It is well known to researchers how the first ecclesiastical assembly of 1917 took place, during which Kirion Sadzaglishvili was elected as the Catholicos-Patriarch of All Georgia and how he was soon tragically murdered at the Martkopi Monastery. It is also well known who succeeded the patriarchal throne after the assassination of Kirion II. Naturally, neither the selection of Kirion Sadzaglishvili nor Leonide Okropiridze was without controversy. The tensions between the two Catholicoses were openly discussed, and the discord between them was further fueled by their supporters. Additionally, researchers are well aware that after the murder of Kirion II at Martkopi, no further ecclesiastical assembly was convened to elect a new patriarch. Based on the results and votes of the 1917 ecclesiastical assembly, the patriarchal council

selected Leonide Okropiridze as the head of the Georgian Church. This event caused significant division among the members of the Georgian Church. Of particular interest to us are the archival documents preserved in the fund of the Catholicos-Patriarch of All Georgia, Leonide Okropiridze, which pertain to the issue of the murder of Kirion II and the selection of Leonide Okropiridze to the patriarchal throne.

Keywords: Apostolic Orthodox Church of Georgia; Catholicos-Patriarch of All Georgia Kirion II; Catholicos-Patriarch of All Georgia Leonide Okropiridze.

გვანცა ბურდული
ისტორიის დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი.
საქართველო, ქ. თბილისი ჭავჭავაძის №53ა
ORCID:0000-0001-8657-3683
g.burduli@sangu.edu.ge
+995555999685

აბსტრაქტი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ არა ერთი რთული გზა განვლო, მაგრამ ალბათ ამ თვალსაზრისით ყველაზე რთული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811 წელს გაუქმდა მცხეთის საპატრიარქო, 1814 წელს კი ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქო) დაწყებული მოვლენები იყო. აღნიშნული რთული პერიოდის დასასრულად უნდა მივიჩნიოთ 1917 წლის 25 მარტს (ძველი სტილით 12 მარტს) სვეტიცხოვლის ტაძარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადება. ამ დღიდან მოყოლებული საქართველოს ეკლესიაში დასრულდა საეგზარქოსოს მმართველობა და საეკლესიო ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც გულისხმობდა საეკლესიო კრების მოწვევას (საეკლესიო საქმეების მოწყობის მიზნით) და საბოლოოდ კათოლიკოს-პატრიარქის არჩევას.

მკვლევარებისთვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორ ჩატარდა 1917 წელს პირველი საეკლესიო კრება, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად კირიონ სამაგლიშვილი გამოარჩია და როგორ მალევე მოხდა მისი ვერაგულად მოკვლა მარტყოფის მონასტერში. ასევე კარგად არის ცნობილი, თუ ვინ დაიკავა საკათოლიკოსო ტახტი კირიონ II-ის მოკვლის შემდეგ. ცხადია, რომ არც კირიონ სამაგლიშვილისა და არც ლეონიდე ოქროპირიძის გამორჩევას არ ჩაუვლია მშვიდად. ორი კათოლიკოსის ურთიერთობაში არსებულ წყენაზე ხმამაღლა საუბრობდნენ. მათ შორის არსებულ წყენას კი უფრო მეტად მათი მომხრეები აღვივებდნენ. მკვლევარებისათვის ისიც კარგად არის ცნობილი, რომ კირიონ მეორის მარტყოფის მონასტერში მოკვლის შემდეგ, ახალი პატრიარქის ასარჩევად საეკლესიო კრება აღარ ჩატარებულა. 1917 წელს ჩატარებული საკლესიო კრების მონაცემებისა და მაშინ

მიღებული ხმების თანახმად საკათოლიკოსო საბჭომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად ლეონიდე ოქროპირიძე გამოარჩია. ამ ფაქტმა საქართველოს ეკლესიის წევრებს შორის გააჩინა აზრთა სხვადასხვაობა.

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა სრულიად საქართველოს კათლიკოს-პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის ფონდში დაცული საარქივო დოკუმენტი, რომელიც კირიონ მეორის მკვლელობის საკითხსა და ლეონიდე ოქროპირიძის საკათოლიკოსო ტახტზე გამორჩევას ეხება.

საძიებო სიტყვები: საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე.

შესავალი. 1811 წლიდან საქართველოს ეკლესია რუსული ბიუროკრატიული სისტემის დანამატად აქციეს. სამართლიანადაა მიჩნეული, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა იმპერატორის და რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებით, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. მათი ქმედებით დაირღვა წმინდა მსოფლიო კრებათა და მოციქულთა კანონები... საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა ეკლესიის რბევა და ძარცვა. 1811-1906 წლებში რუსეთმა საქართველოში დახურა 800 ეკლესია და 15 მონასტერი, 29 ეპარქიის ნაცვლად მხოლოდ 5 ეპარქია დატოვეს. გაძარცვეს ეკლესიები და მონასტრები, გაიტანეს ხატები, ხელნაწერი წიგნები, ჯვრები, ბარძიმები და სხვა საეკლესიო ნივთები. გარდა ნაძარცვისა, რუსებმა საქართველოს ეკლესიას ოფიციალურად ჩამოართვეს 220 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება, ყოველივე ეს კი საქართველოში გამოგზავნილი ეგზარქოსების ინიციატივითა თუ დახმარებით ხდებოდა.

XIX საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსებიდან მხოლოდ თითო-ოროლა შეიძლება გამოიყოს, რომლის დროსაც აშკარა ანტიქართულ გამოხატულებებს ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, რუსეთის საიმპერატორო კარმა ვერ შეძლო ეროვნული სულის ჩაკვლა ქართველ სამღვდელოებაში. ამის დადასტურებას წარმოადგენდა XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დაწყებული ავტოკეფალისტური მოძრაობა.

1905 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული გახშირდა ქართველი სამღვდელოების კრებები, რომლებზეც ითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენას. XX საუკუნის დამდეგს რუსეთში 1700 წლიდან გაუქმებული პატრიარქობის აღდგენისა და საეკლესიო კრების მოწვევის საკითხი დაისვა. ეს ძალზედ რთული საკითხი იყო და მის მოსამზადებლად შეიკრიბა საგანგებო თათბირი - რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. თათბირს უნდა გადაეწყვიტა რუსეთში პატრიარქობის აღდგენისა და საეკლესიო კრების მოწვევის განახლება. თავისთავად პატრიარქობის აღდგენა და საეკლესიო კრების მოწვევის განახლება ითხოვდა უამრავი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას. საეკლესიო კრების წინარე თათბირზე იხილებოდა არაველიკორუსულ მხარეებში, მათ შორის კავკასიაში, საეკლესიო ცხოვრების მოწყობის საკითხი, კერძოდ, რა სახით უნდა დაქვემდებარებოდა კავკასია და, მათ შორის, საქართველო რუსეთის პატრიარქსა და საეკლესიო კრებას. სწორედ ამის გამო მოხდა

საეკლესიო კრების წინარე თათბირის დღის წესრიგში საქართველოს ეკლესიის საკითხი. სურდათ თუ არ სურდათ, რუსებს უნდა განეხილათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების კანონიერების საკითხი. მხოლოდ ამ საკითხის განხილვის შემდეგ შეიძლებოდა მიღებულიყო გადაწყვეტილება საქართველოში საეკლესიო ცხოვრების მოწყობის თაობაზე. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირმა საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ გადაწყვეტილება არ მიიღო, ეს თავიდანვე ცხადი იყო, მაგრამ ამ მოვლენას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ოფიციალურად დაისვა უკანონოდ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი (ბურდული 2012: 11).

,,XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მართალია, არ დასმულა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა, მაგრამ ქართველი საზოგადოება, კერძოდ, კი თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით აქტიურად იბრძოდნენ ქართველთა სარწმუნოებრივი უფლებების დასაცავად. 1883-1910 წლებში ქართულ ენაზე გამოდიოდა ორკვირეული ჟურნალი ,,მწყემსი“ დეკანოზ დავით ღამბაშიძის რედაქტორობით, რომელიც ქართველი ერის გულისთქმას გამოხატავდა“ (ბუბულაშვილი 2008: 51).

ასე მოვიდა საქართველოს ეკლესია 1917 წლამდე. 1917 წელს რუსეთში მიმდინარე რევოლიცურმა რყევებმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში დააყენა. ქართველ სამღვდელოება როგორც კი დარწმუნდა, რომ დროებითი მთავრობა არ აპირებდა საქართველოს ეკლესიაზე უწმინდესი სინოდის კომპეტენციის შეწყვეტას, მას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა (პავლიაშვილი, 2008: 255).

1917 წლის 25 მარტს (ძველი სტილით 12 მარტს), კვირას მცხეთის საკათოლიკოსო ტაძარში შეიკრიბა ათასობით ადამიანი. ღვთისმსახურება აღავლინა გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე). მსახურებაზე იყვნენ: იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი), გორის ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე), არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), თბილისის მთელი ქართული სამღვდელოება, საქართველოს საგუბერნიო და სამაზრო მარშლები, თავადაზნაურობა და წირვაზე მოსული მორწმუნე ხალხი. წირვისა და პარაკლისის აღსრულების შემდეგ ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ წაიკითხა უდიდესი
მნიშვნელობის გადაწყვეტილება:

,,ა) დღეიდან, ე.ი. 12 მარტიდან, გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია;

ბ) დროებით კათალიკოსის არჩევამდე ეკლესიის გამგედ ინიშნება გურიაოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე;

გ) საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც სასულიერო, ისე საერო პირები.

მთავარი დოკუმენტის შინაარსი კი შემდეგნაირი იყო: "1917 წელსა მარტის 12 დღესა მცხეთის წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საყდარში, კვირა დღეს, შევიკრბენით რა ჩვენ, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარნი, სამღვდელოების კრებული და სამწყსოთა წარმომადგენლები, შევასრულეთ წირვა და

სავედრებელი პარაკლისი. გავითვალისწინეთ რუსეთის სახელმწიფოში მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახალი მთავრობის დაფუძნება და მისი საყოველთაო საზოგადოდ სახელმძღვანელო დებულებანი და განსაკუთრებით სინდისისა და სარწმუნოების
თავისუფლების მისგან აღსარება მივიღეთ რა მხედველობაში:

ა) ვინაიდან საქართველოს ეკლესია არსებობდა დამოუკიდებლად, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, რომლის მოსპობა ანუ გაუქმება არ ექვემდებარებოდა არავითარ ძალას, გარდა მსოფლიო კრებათა და სრულიად არაკანონიკურად შეაჩერეს მისი ავტოკეფალური მართვა-გამგეობა;

ბ) საჩქაროდ განგრძობილ იქნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მართვა-გამგეობა“ (გაზ. საქართველო, 1917: №59).

აღნიშნული დოკუმენტის მიღება ავტოკეფალური მოძრაობის ლოგიკური დასასრული იყო. საქართველოს ეკლესიის კანონიკური უფლებებისათვის დაწყებული ბრძოლა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო, 1917 წლის 25 მარტს ავტოკეფალიის აღდგენით დაგვირგვინდა. ავტოკეფალიის აღდგენის აქტში ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების გარეშე უკანონოდ იყო გაუქმებული, რისი უფლებაც არავის არ ჰქონდა. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ 12 მარტიდან ,,საჩქაროდ განგრძობილ” იქნეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ე.ი. 1811 წელს ძალადობით შეჩერებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია უნდა გაგრძელებულიყო (ტყეშელაშვილი 2012 - https://old.atsu.ge/images/pdf/disertaciebi/disertacia_tkeshelashvili.pdf).

ავტოკეფალიის აღდგენის მეორე დღესვე, სრულიად საქართველოს ეკლესიის მოსაყდრე ეპისკოპოსმა ლეონიდემ წერილი მისწერა საქართველოს ყოფილ ეგზარქოსს პლატონს: ,,მართვა-გამგეობა საქართველოს ეკლესიისა, რომელიც უხსოვარი დროიდან სარგებლობდა ავტოკეფალურის უფლებით, XIX საუკუნის დასაწყისში ხელში ჩაიგდო, წინააღმდეგ თვით ეკლესიის სურვილისა, რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა... გერთმევათ უფლება განაგოთ საქართველოს ეპარქიები და მრევლი... საქართველოს საკათალიკოსოს საზღვრებში, ასვევე ის კრედიტი, საქართველოს ეკლესიის შესანახად რომ უნდა გადაიდოს ხოლმე. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობას ვიწყებ მე“ (გაზ. საქართველო 1917, №61).

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით დასრულდა ავტოკეფალსიტური მოძრაობის ისტორია, რომლის ლოგიკური შედეგი 1917 წელს ჩატარებული პირველი საეკლესიო კრება იყო. 17 სექტემბერს კრებამ თავისი მუშაობა დააგვირგვინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებით. კრებაზე გამოიკვეთა ორი კანდიდატურა მიტროპოლიტ ლეონიდესა და ეპისკოპოს კირიონის სახით. შეიქმნა ხმის დამთვლელი კომისია დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის თავმჯდომარეობით. ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა მხარს უჭერდა ეპისკოპოს კირიონის კანდიდატურას. სპეციალური დეპუტაცია პართენ გოთუას, სოფრომ მგალობლიშვილისა და იპოლიტე ვართაგავას შემადგენლობით ეწვია მიტროპოლიტ ლეონიდის და ურჩია მოეხსნა თავისი კანდიდატურა ეპისკოპოს კირიონის სასარგებლოდ. მიტროპოლიტმა ლეონიდემ უარი განაცხადა. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის არჩევნებში მონაწილეობდა

430 დელეგატი. 11 ხმით მეტი მიიღო და სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი, სახელწოდებით კირიონ II (ვარდოსანიძე 2001: 23-24). სამწუხაროდ ახალ არჩეულ პატრიარქს არ დასცალდა დიდხანს მოღვაწეობა. 1917 წლის 27 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II მიგზავნილმა მკვლელმა სიცოცხლეს გამოასალმა მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში. საქართველოს ეკლესიამ მეორე კათოლიკოს პატრიარქად ლეონიდე ოქროპირიძე აირჩია. აღსანიშანავია, რომ გარკვეული პირები ლეონიდეს ბრალს უყენებდნენ კათოლიკოს-პატრიარქის მკვლელობის იდეურ მხარდაჭერაში... მალევე მოკლეს ამ ბრალდების მთავარი გამხმოვანებელიც ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძე, (მოწამლეს), რიც გამოც ლეონიდეს მორალური მდგომაროება ძალზე გართულდა (ვარდოსანიძე 2001: 39). მდგომაროება გაართულა იმ ფაქტმაც, რომ მისი გამორჩევა არა ახალი საკლესიო კრების დადგენილების თანახმად, არამედ 1917 წელს ჩატარებული პირველი საეკლესიო კრების დროს მიღებული ხმების თანახმად მოხდა.

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ისტორიულ-შედარებით და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და სინთეზის მეთოდს.

შედეგები. კვლევა ეფუძნება საქართველოს ეროვნულ არქივში ლეონიდე ოქროპირიძის ფონდში დაცულ საარქივო მასალებს. არსებული საისტორიო წყაროს გაცნობა-დამუშავება ცხადყოფს თავად ლეონიდე ოქროპირიძის დამოკიდებულებას კირიონ მეორის მკვლელობისა და მისი კათოლიკოს-პატრიარქად გამორჩევის საკითხისადმი. ამ თვალსაზრისით აღნიშნული დოკუმენტი ძალაზე საინტერესოა. მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს ისტორიულ წერილს, რომელიც ასახავს ამ დროს საქართველოს ეკლესიაში არსებულ დაძაბულობას. წყაროს მთავარი ასპექტებია: კათოლიკოსის არჩევის პროცესი, კირიონ მეორის ტრაგიკული გარდაცვალება, დაპირისპირება თალაკვაძე-კაპანაძესა და წერილის ავტორს შორის. საბოლოოდ დოკუმენტის ავტორის ლეონიდე ოქროპირიძე კატეგორიულად უარყოფს ამ ბრალდებებს.

დისკუსია. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში ახალი ცხოვრება დაიწყო 1917 წლის 25 მარტიდან. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და პატრიარქობის ინსტიტუტის აღდგენა მრავალი სასიკეთო ცვლილების მანიშნებელი იყო. თუმცა მოხდა ის, რასაც ალბათ არავინ ელოდა. 1918 წლის 27 ივნისს მოკლეს სრულიად საქართველოს კათლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე, 1918 წლის სექტემბერში მოწამლეს (საკუთარმა სიძემ) ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე), საკუთარ სახლთან მოკლეს

მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე (კირიონ II საარჩევნო აგიტაციის მეთაური პროვინციებში), მცხეთაში მოკლული ნახეს არქიმანდრიტი მირიანი. სასულიერო პირების მკვლელობები, რომ ორგანიზებული დანაშაული იყო ნათელი გახდა. 1918 წლის 28 ნოემბერს შედგა საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა, რომელმაც მთელ რიგ საკითხებთან ერთად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლად ლეონიდე ოქროპირიძის გამორჩევა მიზანშეწონილად მიიჩნია. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მიტროპოლიტ ლეონიდის სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქად კურთხევა შესრულდა 1919 წლის 23 თებერვალს, კვირას სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

და მაინც რატომ გახდა საპოლემიკო ახალი კათოლიკოსის გამორჩევა და რატომ დაუკავშირდა მისი სახელი კირიონ კათოლიკოსის მკვლელობას?! 1918 წლის 25 თებერვალს გამოვიდა ახალი სასულიერო ჟურნალი ,,ახალი სიტყვა", რომლის მატერიალური მხარდამჭერი თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე იყო. ჟურნალი ,,ახალი სიტყვა" მიმართული იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმიდესი კირიონის, საკათოლიკოსო საბჭოს წევრების წინააღმდეგ. მის ფურცლებზე არა ერთი ცილისმწამებლური თუ შეურაცხმყოფელი სტატია დაიბეჭდა კირიონ მეორისა და მისი თანამოაზრეების მისამართით. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თითქოს ორ ბანაკად გაიყო - კირიონ მეორისა და ლეონიდე ოქროპირიძის მომხრეებად. ეს დაპირისპირება გამოწვეული იყო 1917 წლის 17 სექტემბრის არჩევნებით. მიტროპოლიტი ლეონიდი და მისი თანამოაზრეები თვლიდნენ, რომ საპატრიარქო ტახტზე პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელი ლეონიდე უნდა ასულიყო, ისინი გაოგნებული დარჩნენ კენჭისყრის შედეგებით, სადაც უპირატესობა მოიპოვა ეპისკოპოსმა კირიონმა და გახდა ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქი (ვარდოსანიძე 2001: 51). ასეთ ვითარებაში მიტოპოლიტი ლეონიდის სახელი არა-ერთ საჭვო მდგომაროებას დაუკავშირდა, რაზეც როგორც ჩანს ძალზე შეწუხებულმა საპასუხო წერილი დაწერა.

აღნიშნული საარქივო დოკუმენტი ცხადყოფს, რომ ის ემოციურ ფონეზეა დაწერილი. ,,ეს ფართო წრე მიცნობს მე მორწმუნე, მშვიდ, მოყვასთა მოსიყვარულე და სამშობლოს თავდადებულ ქართველად. ასეთი რწმენა ერისა ჩემთვის ყველა ჯილდოზე უდიდესია. მარტო გარეგანი ნიშნები მაღალ ხარისხისა კაცს არ აამაღლებენ. ცხონებული გავრიელ და ალექსანდრე ეპისკოპოსობის ხარისხში გარდაიცვალნენ, მაგრამ ხალხის თვალში მათ კათოლიკოსზე ნაკლები ალაგი არ უჭირავთ. ის ნაწილი ქართველი ერის, რომელსაც ჰრწამს ეკლესია, დიდი ხანია მე კათალიკოსად მთვლის თავისი რწმენით და ამაზე მეტი ამქვეყნად აღარა მინდა რა..." (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1459, აღწერა #1, ფურცელი 1). მიტროპოლიტი ლეონიდე თავდაპირველად თავისივე პიროვნულ ღირსებას გამოყოფს, რომ იგი არის რწმენით მორწმუნე, სამშობლოსა და მოყვასის მოსიყვარულე და ამავე დროს მიანიშნებს, რომ კათოლიკოსის ხარისხი მისთვის არ წარმოადგენს თვითმიზანს, რასაც შემდეგი სიტყვებით ადასტურებს: ,,არ მინდა, რომ ჩემს გამოისობით საზოგადოებაში განხეთქილება ჩამოვარდეს, ჩემი სახელის გარშემო შეიქმნას არა ქრისტიანული აგიტაცია და ამიტომ არ მსურს, უარს ვაცხადებ კათოლიკოზის კანდიდატობაზე! თბილელად ვრჩები, არა ისევ თბილელად. უმორჩილესად ვთხოვ საკათოლიკოზო საბჭოს მოხსნილად ჩათვალოს ჩემი კანდიდატურა კათოლიკოსობისა" (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1459, აღწერა #1, ფურცელი 1). როგორც ჩანს მიტროპოლიტი ლეონიდე იმდენად იყო შეწუხებული მისი სახელის ,,არასწორად" ხსენების გამო, რომ ის მზად იყო საკათოლიკოსო საბჭოს მოეხსნა მისი კანდიდატურა. მისთვის ასევე გასაკვირი აღმოჩნდა მისი პიროვნების დაკავშირება კირიონ

მეორისა და დეკანოზ ანტონის მკვლელობის ფაქტთან: ,,ნუ დაგვავიწყდება, რომ კათოლიკოზ კირიონის დამარხვის დღეს დეკანოზმა [ნიკიტამ] სიონში წარმოთქმულ სიტყვაში სწორეთ ახალი სიტყვა დაასახელა კირიონის ტრაღიკული სიკვდილის მიზეზათ და ეს სიტყვა დაბეჭდილიცაა ,,თეატრში" და ცხოვრებაში". რათ დაჭირდათ ,,კერძო აზრის" პატივცემულ ავქსონებს გახსენება კირიონის გულ-განგმირაზედ ანტონ მიტროპოლიტის ნაწლავების ქიმიურ გამოძიებაზე იმ დროს, როდესაც საკათალიკოზო საბჭო სვამს კითხვას ჩემი არჩევის შესახებ. კირიონის და ანტონ მიტროპოლიტის სიკვდილის საქმის გამოძიების გაუთავებლობამ რათ უნდა შეაჩეროს ჩემი კათალიკოზად არჩევის საკითხი, რა კავშირი, ურთიერთობა სუფევს ჩემსა და კირიონ-ანტონის სიკვდილს შორის, მე არ მესმის. არ მესმის სრულებით, რომელ ატმოსფეროზეა აქ ლაპარაკი, ვინ შექმნა ეს ატმოსფერო, რა მიზნის მისაღწევად, ვინ გვავალებს მისი ვითარების გამოკვლევას, სად და რა იურიდიული ნორმების დაცვა არის აღნიშნული გამოთქმული იმ საზოგადოებრივ აზრში, რომლის წინაშე ,,კერძო აზრის დამწერების სიტყვით საბჭოს შემადგენლობაში პასუხია...ერთით პასუხის გებაში ვარ.

კარგად მესმის, რომ იურიდიულად შარშანდელი კრების დადგენილების შესრულება არჩევნების შესახებ ახლა სავალდებულო აღარ არის, მაგრამ ეს გარემოება მაინც არ აბათილებს მის ზნეობრივ ღირსებას და მეც მხოლოდ ამ მოსაზრებით დავთანხმდი 28 ნოემბერს კათოლიკოზის არჩევნებს..., რომელიც საბჭომ გამოიტანა. ამ წლის 28 ნოემბრის სხდომაზე დავთანხმდი იმიტომ, რომ მაშინ არც [თალაკვაძეს] და არც კაპანაძეს იმისი მსგავსი არა უთქვამთ რა, რაც ახლა ნათქვამია ,,კერძო აზრში" (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1459, აღწერა #1, , ფურცელი 1-2).

და როგორ აფასებენ ჩამოთვლილი მამულიშვილები ჩემ საზოგადოებრივ მიმართულებას. ვგონებ ამ პირების მიერ კაცის დაფასება ჩემი მიმართულებისა ქართველს საზოგადოების თვალში მეტს უნდა ნიშნავდეს ვიდრე თალაკვაძე-კაპანაძის მიერ აწონ-გაზომვა. მიცნობენ და ძალიან დაახლოებითაც მიცნობენ ყველა ქართველი მღვდელმთავრები, საკათალიკოსოს მღვდლები, რომელთაგან ორი მესამედი მაინც ან ჩემთან არის პირადად ნამსახური ან ხელდასხმულია ჩემგან. ჩემი სახეც უხილავთ, საქმეებიც უხილავთ, წირვა-ლოცვაც მოუსმენიათ, სწავლა-დარიგებაც გაუგონიათ, დასვენების მოწმენიც ყოფილან და ცხენზე მოგზაურობის მნახველნი მკვიდრნი საინგილოსი, ფშავ-ხევსურეთ პანკისისა, ხევ-გუდამაყრის, სვანეთისა, რაჭა-ლეჩხუმისა, იმერეთის, გურია-ოდიშისა, ქობულეთ-ბათუმისა და ჩრდილოეთ-სამხრეთ ოსეთისა.

აი ასეთი ფართო წრე მიცნობს და თუ ამ წრეს მე რამე წაუხდინე, რაიმე ზარალი მივაყენე, ჩემს თავის დაყენებამ საზოგადოების მსჯავრის ქვეშ საკათოლიკოზო საბჭო შეეკითხოს მთელ საზოგადოებას, თუ იგი იტყვის, რომ მაღალი თანამდებობის ხელში ჩაგდებისთვის არავითარ ვერაგობას ვარ კაცის მკვლელი, მომწამლავი, განდიდების მოტრფიალე, სამშობლოს მოღალატე, კერძო ინტერესების მაწარმოებელი და მოუსვენარი ინტრიგანი, რომ ვყოფილიყავი ოცდაათი წლის განმავლობაში ეს შეუმჩნეველი და აღუნიშნავი არ დარჩებოდა იმ ფართო საზოგადოებისგან, რომელშიც დღემუდამ ვტრიალებდი და სამსახურის საქმეებს ვაწარმოებდი. დავერიდები და შემიძლია ასეთ მიზნის მისაღწევათ მკვლელობა ჩავიდინო და შხამიან საწამლავებს მივმართო, როგორც ამას მწამებენ თალაკვაძე-კაპანაძე, მაშინ საბჭოს მხრივ მართალი დანაშაული იქნება ჩემი პიროვნების წამოყენება საკათალიკოზო

კანდიდატად. სანამ ეს მოხდებოდეს, უგულმოდგინესად ვთხოვ საკათოლიკოზო საბჭოს დამიფაროს თალაქვაძე-კაპანაძის ცილისწამებათგან და ფიცხლავ მოსთხოვოს მათ პასუხი, რითი მიმტკიცებენ იგინი კირიონის და მიტროპოლიტ ანტონის სიკვდილში მონაწილეობის მიღებას (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1459, აღწერა #1, ფურცელი 3).

ვგრძნობ რა ჩემს თავს უაღრესად შეურაცხყოფილდ თალაკვაძე-კაპანაძის ,,საკუთარი აზრის" შინაარსით, ხსენებულ პირებს ვუცხადებ სასტიკ პროტესტს და უგულმოდგინესად ვთხოვ საკათოლიკოზო საბჭოს რა ზომებითაც მას ენებოს, მომავალში მაინც, საზღვარი დაუდის თალაკვაძის და კაპანაძის სათაკილო გამოსვლებს ჩემს წინააღმდეგ. ასეთივე დიადი ზნეობრივი ღირებულება აქვს ჩემთვის შარშანდელი საეკლესიო კრების დადგენილებას, რომლითაც მაღალმა კრებამ ,,ღირსად მცნო" კათოლიკოსობისა (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1459, აღწერა #1, ფურცელი 3).

დასკვნა: დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ მიტროპოლიტი ლეონიდე არ აღიარებს მის წინააღდეგ არსებულ ბრალდებებს, რომელიც მორალურად მისთვისაც შეურაცხმყოფელი იყო. ტექსტი ცხადად გამოხატავს ავტორის უკმაყოფილებას, ის გულისტკივილით და პროტესტით წერდა ამ წერილს, რადგან მისი მორალური და ეკლესიური პრინციპები უპირისპირდება იმას, რაც მას ბრალდებოდა. ცხადია, რომ დოკუმენტი ასახავს საქართველოს ეკლესიის რთულ პერიოდს, სადაც პიროვნული დაპირისპირებები და სერიოზული ბრალდებები ერწყმოდა საეკლესიო მმართველობის საკითხებს.

დამოწმებული საარქივო მასალა და ლიტერატურა

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1459, აღწერა #1, ფურცელი 1

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1459, აღწერა #1, ფურცელი 2

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1459, აღწერა #1, ფურცელი 3

ბურდული, გ. (2012). *საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906).* თბილისი.

ბუბულაშვილი, ე. (2008). *საქართველოს სამოციქულო ეკლესია.* თბ.

ვარდოსანიძე, ს. (1994). *უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II.* ოზურგეთი.

ვარდოსანიძე, ს. (2001). *საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში.* თბილისი.

პავლიაშვილი ქ. (2001). *საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელური ეკლესიის* ისტორია (1800-1945). ნაწ. პირველი. თბ.

ტყეშელაშვილი ლ. (2012). *საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძირითადი საკითხები. დისერტაცია.* თბილისი. *https://old.atsu.ge/images/pdf/disertaciebi/disertacia_tkeshelashvili.pdf*

გაზ. საქართველო. (1917). №59.

გაზ. საქართველო. (1917). №61.

REFERENCES

sakartvelos erovnuli arkivis saist'orio tsent'raluri arkivi, pondi #1459, aghts'era #1, purtseli 1

sakartvelos erovnuli arkivis saist'orio tsent'raluri arkivi, pondi #1459, aghts'era #1, purtseli 2

sakartvelos erovnuli arkivis saist'orio tsent'raluri arkivi, pondi #1459, aghts'era #1, purtseli 3

burduli, g. (2012). sakartvelos ek'lesiis avt'ok'epaliis k'anonierebis sak'itkhi rusetis saek'lesio k'rebis ts'inare tatbirze (1906). tbilisi.

bubulashvili, e. (2008). sakartvelos samotsikulo ek'lesia. tb.

vardosanidze, s. (1994). uts'mindesi da unet'aresi sruliad sakartvelos k'atalik'os-p'at'riarki k'irion II. ozurgeti.

vardosanidze, s. (2001). sakartvelos martmadidebeli ek'lesia 1917-1952 ts'lebshi. tbilisi.

p'avliashvili k. (2001). sakartvelos samotsikulo martlmadidebeluri ek'lesiis ist'oria (1800-1945). nats'. p'irveli. tb.

t'qeshelashvili l. (2012). sakartvelos ek'lesiis avt'ok'epaliis dziritadi sak'itkhebi. disert'atsia. tbilisi. https://old.atsu.ge/images/pdf/disertaciebi/disertacia_tkeshelashvili.pdf

gaz. sakartvelo. (1917). №59.

gaz. sakartvelo. (1917). №61.